თამარ მოსიაშვილი

1920-იანი წლების კოსმოპოლიტური კაირო და „ტარაბის“[1] დედოფალი მუნირა ალ-მაჰდია

რეზიუმე

1920-იანი წლები მკვეთრი ცვლილებების ხანა იყო ეგვიპტის პოლიტიკურ, სოციალურ თუ კულტურულ სფეროებში. ერთის მხრივ, 1919 წლის აჯანყების ფონზე ჩამოყალიბებული ახალი ანტიევროპული მოძრაობა და მეორეს მხრივ კი, კოსმოპოლიტური კაიროს მღელვარე ღამის ცხოვრება იყო ამ პერიოდის ხასიათის განმსაზღვრელი ორი ძირითადი ხაზი.

1920-იანი კაიროს ღამის ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სახე იყო მუნირა ალ-მაჰდია, რომელსაც „ტარაბის დედოფალი“ (سلطنة الطرب) უწოდეს. კაიროს ბარებში ახალგაზრდა ნიჭიერი გოგონა დიდ ყურადღებას იქცევდა. ის ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც კომპანია „ბაიდაფონმა“ ჩაწერა და მისი პირველი ფირფიტა 1906 წელს გამოვიდა. მალე ის თავისი დროის ყველაზე მოთხოვნად არტისტად იქცა და საკუთარი სალონიც ე.წ. „სალა“ (صالة) და თეატრის, ცეკვისა და მუსიკის კომპანიაც ჰქონდა. აღსანიშნავია ასევე, მისი მეგობრობა იმ დროის გავლენიან ეგვიპტელ პოლიტიკოსებთან და მისი მოღვაწეობის პატრიოტული ხასიათი.

მუნირა წვეულებებისა და კაიროს ბობოქარი ღამის ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე დიდ ვარსკვლავად რჩებოდა 1920-იან და 1930-იან წლებში. თუმცა, მისი დიდება მოგვიანებით ახალი ვარსკვალების გამოჩენასთან ერთან შესუსტდა და მისი სახელი თანდათან ჩრდილში მოექცა.

საკვანძო სიტყვები: *კაირო, მუნირა ალ-მაჰდი, „ტარაბის დედოფალი“, აზბაქია, „ავამა“.*

1920-იანი წლები მკვეთრი ცვლილებების ხანა იყო ეგვიპტის პოლიტიკურ, სოციალურ თუ კულტურულ სფეროებში. ეგვიპტე 1920-იან წლებს პოლიტიკური აჯანყებით და ეგვიპტის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლით შეხვდა. ერთის მხრივ, 1919 წლის აჯანყების ფონზე ჩამოყალიბებული ახალი ანტიევროპული მოძრაობა და მეორეს მხრივ კი, კოსმოპოლიტური კაიროს მღელვარე ღამის ცხოვრება იყო ამ პერიოდის ხასიათის განმსაზღვრელი ორი ძირითადი ხაზი. 1920-იან წლებში კაიროც დიდი საერთაშორისო მღელვარების ნაწილი იყო. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ბევრმა ადამიანმა დატოვა ევროპა და ახალი შესაძლებლობების ძიებაში კაიროს მიაშურა. ახალი ცხოვრების ძიების გზამ ბევრი მათგანი აზბაქიაში[2] (الأزبكية), იმ დროის კაიროს ღამის ცხოვრების ცენტრში, მიიყვანა. აზბაქიას საცეკვაო დარბაზები სავსე იყო ქალებით, რომლებიც ეკონომიკურ კრიზისსა და პოლიტიკურ რეპრესიებს გამოექცნენ აღმოსავლეთ ევროპიდან. ბევრმა კაბარეებში იპოვა სამუშაო. ამ ქალებისთვის ცხოვრება ხშირად არ იყო მარტივი, რადგან საკმაოდ რთული იყო საშუალო მოცეკვავისთვისაც თავის გატანა უცხო ქალაქში. მხოლოდ რამდენიმემ მოახერხა თავის დამკვიდრება და წარმატების მიღწევა კაიროში. მათ შორის ყველაზე ცნობილი იყო დინა ლისკა (دينا ليسكا), აღმოსავლეთ ევროპელი მოცეკვავე და მომღერალი, რომელმაც პოპულარობა მოიპოვა 1920-იანი წლების დასაწყისში. თუმცა, ბოლოს

[1] ტარაბი - არაბულად طرب , ნიშნავს გართობას, აღტაცებას, მოლხენას, მუსიკას, სიამოვნებას.

[2] აზბაქია / الأزبكية - კაიროს ერთ-ერთი ცენტრალური უბანი, რომელიც ცნობილი იყო თავისი კაფეებით, თეატრებით და სალონებით.

მან სცენა მიატოვა და იმად ალ-დინის ქუჩაზე[3] (شارع عماد الدين) გახსნა სალონი „ლისკა“ (بار ليسكا)[4]. 1920-იან წლებში კაირო შესანიშნავი ადგილი აღმოჩნდა ზოგიერთი აფროამერიკელი მუსიკოსისთვისაც. „ეგვიპტე არის ქვეყანა, სადაც ეგვიპტელები მეფობენ, ინგლისელები მართავენ და ყველა იმას აკეთებს, რაც სურს და როგორც სურს“, წერდა აზბაქიას ორი აფროამერიკელი მცხოვრები წერილში, რომელიც 1923 წლის დეკემბერს გამოქვეყნდა ამერიკულ გაზეთ The Chicago Defender-ში. ამ წერილში ისინი მკითხველებს უამბობდნენ მათ მიერ აღმოჩენილი გასართობი ადგილებისა და თავისუფლების შესახებ. წერდნენ, რომ კარგ დროს ატარებდნენ „შავკანიანთა ქვეყანაში“, სადაც თეთრკანიანებთან ერთად ერთ დონეზე იყვნენ. წერილის ავტორები ჯაზმენები ბილი ბრუკსი და ჯორჯ დუნკანი[5] გახლდნენ, რომლებიც კაიროს 1920-იანი წლების ღამის ცხოვრებით მოიხიბლნენ და იქვე დარჩნენ[6].

1922 წლის დეკემბერში მსოფლიო პრესა მოიცვა ტუტანხამონის საფლავის აღმოჩენის ამბავმა, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მაგალითად, 1923 წლის გაზაფხულზე პარიზში ქალებს ტუტანხამონის ქუდები ეხურათ. ორმა კინოკომპანიამ, ერთმა ლოს-ანჯელესში და მეორემ პრაღაში, განაცხადა, რომ მუშაობდნენ ფილმზე ტუტანხამონის შესახებ. ლონდონის ვესტ-ენდში დიზაინერებმა ფარაონის საფლავში აღმოჩენილი ნივთების ელემენტების გამოყენება დაიწყეს, ხოლო ამერიკაში ჩანთების კომპანიამ შექმნა სავაჭრო ნიშანი სახელწოდებით Tut-Ankh-Amen[7]. ეგვიპტე იყო ჟურნალ-გაზეთების პირველ გვერდებზე, რამაც კიდევ უფრო მეტი პოპულარობა მოუტანა კაიროს და მის თეატრებს, კაბარეებსა და კლუბებს კიდევ უფრო მეტმა ადამიანმა მიაშურა. კაიროს მცხოვრებლებს გაუჩნდათ განცდა, რომ მსოფლიოს ცენტრში ცხოვრობდნენ.

კაიროს მზარდი კოსმოპოლიტიზმის ფონზე ეგვიპტე საინტერესო, მაგრამ რთულ პოლიტიკურ პერიოდს გადიოდა რევოლუციის შემდეგ. ქვეყანას ახლა ნომინალური დამოუკიდებლობა ჰქონდა; სასულთნო გაუქმდა და სულთანი მეფემ ჩაანაცვლა. 1917 წელს წინა მონარქი, ჰუსეინ ქამალი[8], გარდაიცვალა და მისი ადგილი ხედივ ისმაილის[9] კიდევ ერთმა ვაჟმა, ფუადმა[10] დაიკავა. საპარლამენტო პოლიტიკას კი ახალ ქვეყანაში ახალი ძალა და მნიშვნელობა ჰქონდა. 1924 წლის დასაწყისში არჩევნებში 1919 წლის რევოლუციის გმირმა საად ზაღლულმა (سعد زغلول)[11] გაიმარჯვა; მისმა პარტია „ვაფდმა“ მანდატების თითქმის 90 პროცენტი მოიპოვა. იანვრის ბოლოს ის პრემიერ-მინისტრად დასახელდა და ეგვიპტის სრული დამოუკიდებლობისადმი თავისი ერთგულება გამოაცხადა.

ეს პერიოდი საინტერესო იყო ასევე ქალების გააქტიურების თვალსაზრისით სოციალურ, პოლიტიკურ თუ კულტურულ ასპარეზზე. თუმცა, მიღწეული გამარჯვება ეგვიპტელი ქალებისთვის იმედის გამაცრუებელი აღმოჩნდა, რადგანაც ისინი მაინც ახალი პოლიტიკური

---

[33] იმად ალ-დინის ქუჩა / شارع عماد الدين მდებარეობს კაიროს ცენტრალურ ნაწილში, მას ხშირად „კაიროს“ ბროდვეისაც“ უწოდებდნენ.

[4] Enterprise, “A look back at Egypt’s roaring ‘20s”, *Enterprise*, 1 July 2022. https://enterprise.press/archive-wealth/look-back-egypts-roaring-20s/

[5] Billy Brooks and George Duncan

[6] Cormack, Raphael, “How Cairo Became a Cosmopolitan Destination in the 1920s: Raphael Cormack on Egypt’s Interwar Nightlife Boom”. *Literary Hub,* March 18, 2021. https://lithub.com/how-cairo-became-a-cosmopolitan-destination-in-the-1920s/ .

[7] Ibid.

[8] ჰუსეინ ქამალი /حسين كامل - ეგვიპტის სულთანი 1914 წლის 19 დეკემბრიდან 1917 წლის 9 ოქტომბრამდე, ეგვიპტეზე ბრიტანეთის პროტექტორატის დროს.

[9] ხედივ ისმაილი / إسماعيل باشا / الخديوي إسماعيل - ეგვიპტის ხედივი 1863 წლიდან 1879 წლამდე, როდესაც იგი დიდი ბრიტანეთის ბრძანებით გადააყენეს. მისი მმართველობის დროს ბევრი რეფორმა გატარდა ეგვიპტეში ურბანული, ეკონომიკური და ადმინისტრაციული თვალსაზრისით.

[10] ფუად I / فؤاد الأول (1868-1936) - ეგვიპტის სულთანი 1917 წლიდან 1922 წლამდე, ხოლო დიდი ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეგვიპტის პირველი მეფე (1922–1936) გახდა.

[11] საად ზაღლული / سعد زغلول (1857-1927) - ეგვიპტელი სახელმწიფო მოღვაწე, ვაფდის პარტიის და ნაციონალისტური მოძრაობის ლიდერი 1918–1919 წლებში. პრემიერ მინისტრი იყო 1924 წელს მოკლე პერიოდით.

პროცესის მიღმა აღმოჩნდნენ. მათ უარი ეთქვათ არჩევნებში მონაწილეობის და ხმის მიცემის უფლებაზე. როდესაც ახალი პარლამენტის გახსნის ცერემონიალზე მოწვეულთა სია გამოქვეყნდა, აღმოჩნდა, რომ სიაში არცერთი ეგვიპტელი ქალი არ იყო. ღონისძიებამდე ორი კვირით ადრე, ახალგაზრდა ქალმა მუნირა საბითმა (منيرة ثابت)[12], რომელიც მოგვიანებით ეგვიპტური ფემინიზმის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ხმა გახდა და რომელიც მაშინ სკოლას ამთავრებდა, ღია წერილი მისწერა ეგვიპტის მთავარ არაბულ გაზეთს, ალ-აჰრამს (ألأهرام). წერილში საკუთარ თავს მოიხსენიებდა, როგორც „ქალი, რომელიც ხმის მიცემის უფლებას ითხოვდა“. ის წერდა, რომ „ქალებს კაცებზე არანაკლები წვლილი მიუძღოდათ ბრძოლაში, ამიტომ მათი უფლება იყო - მორალურიც და კანონიერიც - მონაწილეობა მიეღოთ პარლამენტის გახსნის ცერემონიაში, რომელიც ამ ბრძოლის ნაყოფი იყო[13]. გახსნის ცერემონიის დღეს სტუდენტების ჯგუფი პარლამენტთან საპროტესტო ბანერებით იდგა და ბრიტანული არმიის გასვლის მოთხოვნასთან ერთად ქალთა ხმის მიცემის უფლებას, განათლებაში სქესთა თანასწორობას და ცოლების რაოდენობის შეზღუდვასაც ითხოვდა[14]. საჯარო განცხადებებში ხაზგასმით აღინიშნებოდა, რომ ქალებმა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში დიდი მსხვერპლი გაიღეს, თუმცა შემდეგად ვერ მიიღეს ის, რასაც ელოდნენ. მაგალითად, 1919 წლის ქალთა მარშის ლიდერის, ჰუდა შაყრავის (هدى شعراوي)[15] თავმჯდომარეობით ვაფდისტ ქალთა ჯგუფმა ხელისუფლებას და ადგილობრივ პრესას გაუგზავნა წერილი, სადაც პარლამენტის გახსნის ცერემონიაზე ქალების არდასწრებას „არაღირსეული აქტი“ უწოდეს.

მიუხედავად ქალთა პროტესტისა, ეგვიპტური პოლიტიკური სივრცე ექსკლუზიურად მამრობითი რჩებოდა 1920-იანი და 1930-იანი წლების პერიოდში, რომელიც სავსე იყო ინტრიგებითა და ძალაუფლებისთვის ბრძოლით. ქაღალდზე ეგვიპტელებს დიდი ბრიტანეთი აღარ მართავდა, მაგრამ ბრიტანელები, რა თქმა უნდა ინარჩუნებდნენ სამხედრო პოზიციებს ქვეყანაში, სუდანში და სუეცის არხთან მიმართებაში საკუთარი ინტერესების დასაცავად. კონკურენცია იყო სამ პოლუსს შორის: პარლამენტი, მეფე და ბრიტანელები, რომელთაგან თითოეული საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებას ცდილობდა. საიდუმლო საზოგადოებები, როგორიცაა „შავი ხელი“ (يد سوداء) ან შურისძიების საზოგადოება (جمعية الانتقام), აწყობდა თავდასხმებს და მკვლელობებს[16]. ამ ტალღამ პიკს მიაღწია 1924 წელს, როდესაც კაიროში მოკლეს სუდანის ბრიტანელი გენერალურ-გუბერნატორი, ლი სტაკი[17]. დამნაშავეები დააპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს, მაგრამ ბრიტანელებმა ეს ინციდენტი ძალაუფლების აღდგენის საშუალებად გამოიყენეს. კრიზისი იმდენად მძიმე იყო, რომ საად ზაღლული გადადგა პრემიერ-მინისტრის პოსტიდან.

მიუხედავად ამ რთული ვითარებისა, კაიროს ღამის ცხოვრება ჩქეფდა, განსაკუთრებით კი ერთ-ერთი ცენტრალური უბნის, აზბაქიას ბაღებსა და ქუჩებში. ამ პერიოდში კაიროს ცენტრი სავსე იყო თეატრებით, კაბარეებით, საცეკვაო დარბაზებითა და სალონებით. გასართობი დაწესებულებების ფართო სპექტრი, რომლებიც ზოგჯერ ფაქტობრივად ერთმანეთზე იყო მიწყობილი, აუდიტორიას პოპულარული მომღერლების მოსმების საშუალებას აძლევდა და წარმოდგენების დიდ არჩევანს სთავაზობდა. აქ ნახავდით კომედიურ სპექტაკლებს, მელოდრამებს და ა.შ. აქაურ კლუბებსა და სალონებში შამპანურსა და სხვა სასმელებს ზოგჯერ

---

[12] მუნირა საბითი / منيرة ثابت (1902–1967) - ეგვიპტელი ჟურნალისტი და მწერალი. ის იყო პირველი ქალი, ვინც ჩაირიცხა კაიროს ფრანგულ სამართლის სკოლაში.

[13] Cormack, “How Cairo Became a Cosmopolitan Destination in the 1920s”.

[14] Ibid.

[15]ჰუდა შაყრავი /هدى شعراوي (1879 - 1947) - ეგვიპტელი ფემინისტი აქტივისტი და ეგვიპტის ფემინისტური კავშირის დამფუძნებელი.

[16] Cormack, “How Cairo Became a Cosmopolitan Destination in the 1920s”.

[17] გენერალ-მაიორი სერ ლი ოლივერ ფიცმორის სტაკი / Lee Stack (1868 - 1924) - ბრიტანეთის არმიის ოფიცერი და სუდანის გენერალ-გუბერნატორი. 1924 წლის 19 ნოემბერს მას ესროლეს და მოკლეს კაიროში.

უხერხულად დიდი რაოდენობითაც კი მოიხმარდნენ[18]. პოლიტიკური სცენისგან განსხვავებით აზბაქიას თეატრებისა და კაბარეების სცენაზე აქტიურად ჩანდნენ ქალები.

ეგვიპტის მუსიკალური მემკვიდრეობის აღორძინებისადმი მიძღვნილი ინტერნეტ არხის Misrfone-ის დამფუძნებლის, ფოლკლორული მუსიკის ექსპერტის, ესმათ ალ-ნიმრის (عصمت النمر) თქმით, კაფეებში მუსიკალური სცენის გაჩენა ეგვიპტეში პოსტ-ოსმალური მმართველობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი იყო, სადაც ადრე მუსიკა და გართობა მხოლოდ ელიტარულ წრეებთან და ქორწილებთან ასოცირდებოდა. იმ დროს ორი ძირითადი მუსიკალური მიმართულება იყო: შეიხების მუსიკალური სკოლები, სადაც სუფიური მუსიკა და რელიგიური ჰიმნები ისწავლებოდა და ხალხური მუსიკის სკოლები. არსებობდნენ ალიმები[19] (عالمة), მომღერალი და მოცეკვავე ქალები, რომლებიც ჩვეულებრივ ქორწილებში მღეროდნენ და ართობდნენ სტუმრებს. შეიძლება ისინი არც გამოჩენილიყვნენ სტუმრებთან და ხალხს მხოლოდ მათი ხმა გაეგო. ასევე შეხვდებოდით ღაზიებს (غازية), მოცეკვავეებს, რომლებიც ძირითადად მუცლის ცეკვას ასრულებდნენ მავლიდებზე თუ სხვა დღესასწაულებზე[20].

მე-19 საუკუნის ბოლოს ლევანტიდან ეგვიპტეში უამრავი ემიგრანტის ჩამოსვლას რამდენიმე კაფისა და თეატრის გაიხსნა მოჰყვა, ამგვარად მუსიკა და სპექტაკლები საჯარო სივრცეში გახდა ხელმისაწვდომი. მალე მრავალი კაფე, ტიატრო (თეატრი) და კლუბი გაჩნდა[21]. მარტო იმად ალ-დინის ქუჩაზე იყო 30-ზე მეტი თეატრი, კაფე, საცეკვაო დარბაზი და კინოთეატრი". მუსიკალურ სპექტაკლებთან დაკავშირებულ ცნობილ კაფეებს შორის გამორჩეული იყო კაფე რიში (مقهى ريش)[22], კაზინო დე პარიზ, შაფიკა ალ-კიბტიას[23] (شفيقه القبطيه) კაზინო აზბაქიაში და მრავალი სხვა. ამგვარად, მუსიკის ახალი ერა დაიწყო, რამაც ახალ მუსიკალურ ტალანტებს მისცა განვითარების საშუალება, მაგ. დავუდ ჰოსნის (داود حسني)[24], მუნირა ალ-მაჰდიას (منيرة المهدية), ბადია მასაბნის (بديعة المصبني)[25], ფათჰია აჰმედის (فتحية أحمد)[26] და ბევრის სხვა მომღერლის ხმა აჯადოებდა კაფეებისა და თეატრების სტუმრებს. ეს ხმები ჩანაწერებმა დღემდე შემოგვინახა.

ძველი სასიმღერო ტრადიციით მომღერალს თავისი ორკესტრი ანუ თახთი (تخت) და ასვე გუნდიც - გუკა (جوقة) ჰყავდა. კომპოზიცია ერთგვარ მუსიკალურ დიალოგს წარმოადგენდა სოლისტსა და დასის დანარჩენ წევრებს შორის. თუმცა, თანამედროვე მუსიკალური ტენდენციების შემოსვლასთან ერთად, რომელიც ყურადღებას მომღერალზე ამახვილებდა, გუკასა და თახთის პოპულარობა შემცირდა[27]. 1900-1925 წლები ალიმების, მომღერალი ქალების მოღვაწეობის ოქროს ხანად ითვლება. ალიმების ტიპიური დასი შედგებოდა რვა ქალისა და მათი ლიდერი ქალბატონის - ოსტასგან (اسطا). მათ საკმაოდ მოკრძალებულად ეცვათ, არ იყენებდნენ გამომწვევ სამოსს. ოსტა, ანუ ლიდერი, ხშირად სახესაც კი იფარავდა. ახალი ეპოქის ღამის ცხოვრების მღელვარე სცენამ კი გააერთიანა მოცეკვავეები და მომღერლები და კაიროს

---

[18] Cormack, Raphael, "Life was a cabaret – the Roaring Twenties in Cairo", *Apollo Magazine, 6 January 2020.* https://www.apollo-magazine.com/roaring-twenties-cairo/

[19] ალიმა (عالمة მრ.რ. عوالم) - მომღერალი

[20] Van Nieuwkerk, Karin , *A Trade like Any Other: Female Singers and Dancers in Egypt*. American University in Cairo Press, 1995, p. 26.

[21] Noshokaty, Amira, "Cairo cafes: A century of music and coffee", *Ahram Online*, 29 May 2014. https://english.ahram.org.eg/News/102380.aspx

[22] კაფე რიში / مقهى ريش - კაიროს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კაფე, რომელიც 1908 წელს გაიხსნა ტალათ ჰარბის ქუჩის 17 ნომერში. სხვადასხვა დროს კაფე მწერლების, ინტელექტუალების და რევოლუციონერების შეხვედრის ადგილი იყო.

[23] შაფიკა ალ-კიბტია/ شفيقه القبطيه (1851-1926) - მეცხრამეტე საუკუნეში ეგვიპტის ყველაზე ცნობილი მოცეკვავე.

[24] დავუდ ჰოსნი / داود حسني (1870-1937) - ეგვიპტელი მომღერალი და კომპოზიტორი.

[25] ბადია მასაბნი / بديعة المصبني (1892-1974) - სირიელი მოცეკვავე და მსახიობი, გარკვეული პერიოდი ცხოვრობდა ეგვიპტეში, სადაც ცნობილი მოცეკვავე გახდა. ცეკვისა და თეატრალური წარმოდგენების საკუთარი დასიც ჩამოაყალიბა.

[26] ფათჰია აჰმედი /فتحية أحمد (1898-1975) - ცნობილი ეგვიპტელი მომღერალი.

[27] Noshokaty, "Cairo cafes: A century of music and coffee".

ურბანულმა ცენტრმა რამდენიმე გაბედული ქალი მომღერლის ძალისხმევის წყალობით სრულიად განსაკუთრებული სახე მიიღო. მოცეკვავეები, მომღერლები და ღამის ბარების სხვა პერსონალი პირველად ქმნიდა ახალი ტიპის კარიერის პერსპექტივას ქალებისთვის და იმ სირთულეებს უპირისპირდებოდა, რომლის წინაშეც ტრადიციულად კონსერვატიულ ეგვიპტურ საზოგადოებაში იდგნენ ქალები[28]. 1920-იანი კაიროს ღამის ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სახე იყო მუნირა ალ-მაჰდია, რომელსაც „ტარაბის დედოფალი“ (سلطنة الطرب) უწოდეს.

1917 წელს მწერალი ს.რ. ეშბი[29] მასწავლებლად მუშაობდა კაიროს სკოლაში. ეშბი უსასრულო რომანტიზმით ეძებდა პრეინდუსტრიული ეპოქის ე.წ. „გაუფუჭებელ“ თუ „შეულახავ“ ხალხურ ხელოვნებას. ასე აღმოჩნდა ის არაბული დრამატული წარმოდგენის სანახავად კაიროს მიღმა, ერთ-ერთ სოფელში და წარმოდგენით აღფრთოვანებული დარჩა. ამის შესახებ ის თავის დღიურში წერს, რომელიც ახლა კემბრიჯის კინგს კოლეჯის არქივში ინახება. ის წერს, რომ საოცარი გამოცდილება იყო, რადგანაც ნამდვილი ცოცხალი შექსპირისეული პოპულარული დრამა ნახა. ალბათ ასეთი იქნებოდა წარმოდგენები ევროპაში 250 წლის წინ. წარმოდგენას თამაშობდნენ სცენაზე, რომლის გარშემოც მშვენიერი არაბული ნათელი ფერებით შემკული ფარდები იყო მიმაგრებული ოთხ უზარმაზარ პალმაზე, რომელთა ზევით ვარსკვლავების და მთვარის დანახვა შეიძლებოდა. მწერალი ყველაზე მეტად გააოცა მთავარი როლის შემსრულებელმა მუნირამ, რომელიც არა მხოლოდ სპექტაკლის დროს ხიბლავდა მაყურებელს, არამედ სპექტაკლის შემდეგაც დაბრუნდა სცენაზე და ბისზე რამდენიმე სიმღერა შეასრულა. ხალხი ხუთი საათის განმავლობაში იმყოფებოდა იქ, მაგრამ მათი ემოცია არ განელებულა და გამუდმებით ყვიროდნენ: „ალაჰ! ალაჰ! ღმერთმა დაიფაროს შენი ხმა”. ეშბიმ მაშინ არ იცოდა, რომ ეს მომღერალი მუნირა ალ-მაჰდია იყო, ეგვიპტის თანამედროვე ღამის ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე დიდი ვარსკვლავი[30].

მუნირა ალ-მაჰდია (منيرة المهدية) ლეგენდარულ სახელად იქცა ეგვიპტეში. თუმცა, მიუხედავად მისი დიდებისა ცოტა რამ ვიცით „ტარაბის დედოფლის“ ცხოვრების შესახებ. ზაქია ჰუსეინ მანსური (زكية حسن منصور) დაიბადა 1885 წლის 16 მაისს ეგვიპტის ალ-შარკიას პროვინციის სოფელ მაჰდიაში. მოგვიანებით ის მუნირა ალ-მაჰდიას სახელით გახდა ცნობილი და მისმა ხმამ მილიონობით ადამიანის გული დაიპყრო. გოგონა ადრე დაობლდა და მასზე მზრუნველობა უფროსმა დამ ითავა, ამიტომ ის საცხოვრებლად დასთან, ალექსანდრიაში გადავიდა. ბავშვობაში სკოლას ხშირად აცდენდა. როგორც თვითონ იხსენებდა, სახლიდან სკოლის ფორმით გადიოდა, მაგრამ სხვა ლამაზი კაბა ჰქონდა დამალული კიბეებთან, ჩუმად იცვლიდა სკოლის ფორმას, იმ ლამაზ კაბას იცვამდა და სასეირნოდ მიდიოდა. სახლში დაბრუნების დროს კი ისევ სკოლის ფორმას იცვამდა და სპეციალურად ნაყიდი მელნით თითებს ითხვრიდა, სკოლაში ნამყოფს რომ ჰგვანებოდა[31]. პატარა ზაქია თავიდანვე დიდ ინტერესს იჩენდა თეატრების მიმართ და მცირე ასაკიდანვე ჩაერთო თეატრალურ წარმოდგენებში. თეატრალურ წრეებში მუსიკალური განათლებაც მიიღო და სწორედ ასე აღმოაჩინა საკუთარი ტალანტი. გამუდმებით უსმენდა ცნობილ ეგვიპტელ მომღერლებს, მაგალითად ძალიან უყვარდა ალ-ლავანდიას (سيدة **اللاوندية**) ხმა და მისი გავლენა აისახა კიდეც მუნირას შემოქმედებაზე. სიმღერის გაკვეთილებზეც დაიწყო სიარული, რათა საკუთარი ხმა კიდევ უფრო დაეხვეწა[32]. მალე ის თავის სოფელში დაბრუნდა და მუნირა ალ-მაჰდიას სახელით ახლომდებარე სოფლებსა და ქალაქებში დაიწყო სიმღერა[33].

1905 წელს გავლენიანმა კაიროელმა შემთხვევით მოუსმინა გოგონას და მისი ხმით მოხიბლულმა მას კაიროში გადასვლა და მის კაფეში სიმღერა შესთავაზა. 1905 წელს კაიროში ჩასვლის შემდეგ თავს ქალაქის ღამის კლუბებში სიმღერით ირჩენდა. ამბობდნენ, რომ იმ

---

[28] Enterprise, “A look back at Egypt’s roaring ‘20s”.

[29] ს.რ. ეშბი / C.R. Ashbee (1863–1942) - მწერალი და გამომცემელი.

[30] Cormack, Raphael, “Life was a cabaret – the Roaring Twenties in Cairo”.

[31] Al-Hafni, R. *Al-Sultana Munira al-Mahdiyy*a. Cairo: Dar al-Shoruq, 1968, p.85.

[32] Ibid.: p.85

[33] "ذكرى ميلاد: منيرة المهدية. لحظة استثنائية في المسرح الغنائي"، *العربي الجديد*، آداب وفنون، 16مايو 2021

დროისთვის ცნობილმა არტისტმა აბდ ალ-აზიზ ხალილმა (عبد العزيز خليل)[34] მოუსმინა ახალგაზრდა მუნირას და მანაც თავის კაფეში შესთავაზა მუშაობა. ეს იყო პატარა კაფე ხალხმრავალ უბანში, სადაც ბევრი ცნობილი არტისტი მუშაობდა იმ დროს. ახალგაზრდა ნიჭიერი გოგონა დიდ ყურადღებას იქცევდა და მალე კაფეს ბევრი ცნობილი ადამიანიც სტუმრობდა[35]. მუნირა იმ მცირერიცხოვან ქალებს მიეკუთვნებოდა, რომლებიც უკვე კომერციულ ჩანაწერებს უშვებდნენ პირველ მსოფლიო ომამდე. ის ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც კომპანია „ბაიდაფონმა“[36] ჩაწერა. მალე მისი ჩანაწერები გამოსცა ზონოფონმაც[37] და ოდეონმაც[38]. მუნირას პირველი ფირფიტა 1906 წელს გამოვიდა, რომელზეც „სით მუნირა“ ანუ „ქალბატონი მუნირა“ (الست منيرة) ეწერა.

მუნირას ადრეული სიმღერები „ალიმას“ (عالمة) სტილში იყო შესრულებული. ის მღეროდა კასიდებს[39] (قصيدة), ტაკტუკებს[40] (طقطوقة) და დავრებს[41] (دور). ჩანაწერებში კომპოზიციების ხანგრძლივობა საშუალოდ 6 წუთია, თუმცა ცოცხალი შესრულების დროს, წვეულებაზე თუ კონცერტზე შეიძლება ბევრად დიდიხანს გაგრძელებულიყო მუსიკოსების იმპროვიზაციის გამო[42]. 1920-იანი წლებიდან ის ცნობილი „მუტრიბა“[43] (مطربة) გახდა და „მაღალი სტანდარტის რეპერტუარს“ ასრულებდა უფრო ელიტარული მსმენელისთვის[44]. ჩანაწერებიდანაც მუნირა ალ-მაჰდიას ვიცნობთ, როგორც „თახთ მუტრიბას“, რომელიც ტაკტუკებს და კასიდებს მღეროდა. ჩანაწერებში თითქმის არ არის შემონახული სხვა ჟანრები. პროფესორი ფრედრიკ ლეგრანი აღნიშნავს, რომ ბაიდაფონს სპონსორობის კონტრაქტი ჰქონდა მუნირა ალ-მაჰდიასთან 1920-იან წლებში, ამიტომ მას უნდა შეესრულებინა და ჩაეწერა ის, რაც მათ სურდათ. ამრიგად, ჩვენ არ შემოგვრჩა მისი შესრულების და რეპერტუარის სრული სურათი. 1920-იანი წლების გაზეთებში არის ასევე სარეკლამო განცხადებები ალექსანდრიაში რამადანის საღამოების შესახებ, რომელსაც მუნირა მასპინძლობდა თახთის თანხლებით[45]. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დამსახურებად იმას მიიჩნევენ, რომ შედარებით „მსუბუქი“ მუსიკა აქცია პოპულარულად მაღალ საზოგადოებაშიც.

მუნირა ალ-მაჰდია მაჰმუდ ჯაბრიზე (محمود جبر) დაქორწინდა, რომელიც მისი მუსიკალური მენეჯერი გახდა და მუნირას თეატრალურ და სამუსიკო კარიერაში პოზიციების გამყარებაში დაეხმარა. მუნირა თავისი დროის ყველაზე მოთხოვნად არტისტად იქცა, რომელსაც ადიდებდნენ. წარმატების მიღწევის შემდეგ, მალე მან საკუთარი სალონი ე.წ. „სალა“ (صالة) გახსნა ცნობილ უბან აზბაქიაში და მას „ნუზჰათ ალ-ნუფუს“[46] (نزهة النفوس) დაარქვა. 1913 წლამდე აქ მღეროდა თვითონაც, ასევე მღეროდა ცნობილ კლუბებში „ალ-ჰამბრა“ (الحمراء) და „ელ-დორადო“

---

[34] აბდ ალ-აზიზ ხალალი/ عبد العزيز خليل (1887-1969) - ცნობილი ეგვიპტელი მსახიობი.

[35] Haghani, Fakhri, “The “New Woman” of the Interwar Period: Performance, Identity, and Performative Act of Everyday Life in Egypt and Iran”. *Al-Raida*, Issue 122-123, Summer/Fall 2008, 39.

[36] ბაიდაფონი / Baidaphon (1907- 1930-იანი წლები) - ერთ-ერთი ყველაზე ძველი კერძო ხმის ჩამწერი კომპანია ახლო აღმოსავლეთში. იგი დააარსა ბაიდას გვარის ოჯახმა ბეირუთში მე-20 საუკუნის პირველ ათწლეულში.

[37] ზონოფონი / Zonophone - მუსიკის ჩამწერი ლეიბლი, რომელიც 1899 წელს ქამდენში, ნიუ ჯერსიში დააარსა ფრენკ სიმენიმ.

[38] ოდეონი / Odeon Records - მუსიკის ჩამწერი ლეიბლი, რომელიც დაარსდა 1903 წელს ბერლინში. ლეიბლის სახელი მომდინარეობს პარიზის Odéon-Théâtre de l'Europe-დან.

[39] კასიდა (قصيدة მრ.რ. قصائد) - არაბული პოეზიის ჟანრი.

[40] ტაკტუკა (طقطوقة მრ.რ. طقاطيق) - მსუბუქი არაბული ვოკალური მუსიკის ჟანრი, რომელიც დიალექტზე იმღერებოდა. იგი ასოცირდებოდა ქალ ვოკალისტებთან მე-20 დამდეგს და ძალიან პოპულარული გახდა მე-20 საუკუნის პირველ ათწლეულებში.

[41] დავრი (دور მრ.რ أدوار) - არაბული ვოკალური მუსიკის ჟანრი, რომელიც დიალექტზე სრულდებოდა. ამ ჟანრი პოპულარობამ იკლო 1920-იანი წლების შემდეგ, მასში ხშირად იყენებდნენ აჰატის (آهات) ტექნიკას.

[42] Zuhur, Sherifa, *Popular Dance and Music in Modern Egypt,* McFarland: 2021, p.36.

[43] „მუტრიბა“ (مطربة) - მომღერალი

[44] Zuhur, Sherifa, *Popular Dance and Music in Modern Egypt,* McFarland: 2021, p.35.

[45] Sharjah Art Foundation, “Munīra al-Mahdiyya”, *Min al-Tārīkh*.

[46] „ნუზჰათ ალ-ნუფუს“ (نزهة النفوس) - სულთა გასეირნება, განავარდება.

(الدورادو)[47]. ნუზჰათ ალ-ნუფუსი არტისტების, ინტელექტუალების, პოლიტიკოსების და ბიზნესმენების შეკრების ადგილად იქცა. მუნირას კაფეს ისეთი ცნობილი ადამიანებიც სტუმრობდნენ, როგორიც იყო საად ზაღლული და ჰუსაინ რუშდი[48] (حسين رشدي). იმ დროისთვის სხვა არცერთი კაფე არ სარგებლობდა ასეთი პოპულარობით, თვით ბრიტანელი თანამდებობის პირებიც კი აღიარებდნენ მუნირა ალ-მაჰდიას „სალას“ მნიშვნელობას. მუნირას „ტარაბის დედოფალად“ ან უბრალოდ „დედოფლად“ მოიხსენიებდნენ, რომელიც სახალხო არტისტად იქცა. მის სალონში ცხადად შეინიშნებოდა ნაციონალისტური განწყობები, რის გამოც ნუზჰათ ალ-ნუფუს დაიხურა ბრიტანელების გადაწყვეტილებით[49]. მუნირას მაგალითი წამახალისებელი აღმოჩნდა სხვა ქალებისთვის და ბევრმა სხვა მომღერალმა ქალმაც დაიწყო ადგილობრივ ოპერეტებში მონაწილეობა, ზოგმაც საკუთარი „სალა“ გახსნა.

მუნირას თეატრალური დებიუტი მუჰამად ბექ ალ-ალფის ქუჩაზე[50] (شارع محمد بك الألفي) მდებარე თეატრ „პრინტანიას“[51] (مسرح برنتانيا) სცენაზე შედგა. ამბობენ, რომ ის იყო პირველი ეგვიპტელი მუსლიმი ქალი, რომელიც პროფესიონალი მსახიობი გახდა. მანამდე მსახიობი ქალები ძირითადად ქრისტიანები ან ებრაელები იყვნენ[52]. მართალია მუნირა უკვე პოპულარული მომღერალი იყო, მაგრამ თეატრმა მას კიდევ უფრო მეტი წარმატება მოუტანა. მუნირა სალამა ალ-ჰიგაზის[53] (سلامة حجازي) თეატრს შეუერთდა და პირველი ეგვიპტელი მუსლიმი მუტრიბა გახდა, რომელიც სცენაზე ჩადრის გარეშე გამოვიდა 1916 წელს. როდესაც ალ-ჰიგაზი ავად იყო მუნირა ასრულებდა მის როლებსაც, კაცის ფორმაში გამოწყობილი. შეასრულა ალ-ჰიგაზისთვის დაწერილი როლი სპექტაკლში „სალაჰ ად-დინ ალ-აიუბი“ (صلاح الدين الأيوب)[54]. მუნირა ალ-მაჰდია ხშირად შეგნებულად თამაშობდა მამაკაცის როლებს სცენაზე, მაგალითად, მას ნათამაშები ჰქონდა რომეოს როლიც[55]. პირველ რიგში, ეს როლები ხშირად საუკეთესო და ცენტრალურ როლებად განიხილებოდა, ამიტომ ქალები მათ თამაშს ცდილობდნენ. მეორეს მხრივ კი, 1920-იან წლებში ადამიანებს გაუჩნდათ კითხვა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო გენდერული როლები, გაჩნდა მოსაზრება, რომ ისინი შეიძლებოდა შეცვლილიყო და სცენა განსაკუთრებით კარგი ადგილი იყო, სადაც ეს ცვლილება შეიძლება მომხდარიყო[56].

1917 წელს მუნირამ თეატრის, ცეკვისა და მუსიკის საკუთარი კომპანია დააარსა და იგი პირველი ეგვიპტელი ქალი გახდა, რომელიც საკუთარ თეატრალურ დასს ხელმძღვანელობდა. ეს დასი აქტიურად მოღვაწეობდა მთელი დეკადის განმავლობაში. ხშირად მისი დასი ნაციონალისტურ სიმღერებს ასრულებდა, რის გამოც ერთგვარი სლოგანი ჩამოყალიბდა მუნირას თეატრის შესახებ: „هواء الحرية في مسرح منيرة المهدية“ ანუ „მუნირა ალ-მაჰდიას თეატრში თავისუფლების სიო“. მაგალითად, მის რეპერტუარში იყო სიმღერები: „მშვენიერი ეგვიპტე“ (مصر الجميلة), „თუ ჯარში ხარ“ (إن كنت في الجيش), „პარლამენტის მარში“ (مارش البرلمان), „ახალი ეგვიპტე“

---

[47] Zuhur, Sherifa, *Popular Dance and Music in Modern Egypt*, p. 35.

[48] ჰუსაინ რუშდი / حسين رشدي (1863 - 1928) - ეგვიპტელი პოლიტიკოსი და ეგვიპტის პრემიერ მინისტრი ოთხჯერ 1914 - 1919 წლებში.

[49] Zuhur, Sherifa, *Popular Dance and Music in Modern Egypt*, p. 36.

[50] მუჰამად ბექ ალ-ალფის ქუჩა /شارع محمد بك الألفي - იგივე ალფი ბეის ან ალ-ალფის ქუჩა კაიროს ცენტრში მდებარეობს. ის ყოველთვის ცნობილი იყო თავისი კაფეებითა და გასართობი ადგილებით.

[51] თეატრი „პრინტანია“ / مسرح برنتانيا - XX საუკუნის დასაწყისში ერთ-ერთი ყველაზე დიდი თეატრი კაიროში. მისი შენება 1906 წელს ალ-ალფის ქუჩის გახსნასთან ერთად დაიწყო. მოგვიანებით მას თეატრი „ტივოლი“ ეწოდა. ახლა ამ ადგილას რესტორანია სახელით „ალფი ბეი“.

[52] Cormack, Raphael, “Life was a cabaret – the Roaring Twenties in Cairo”

[53] სალამა ალ-ჰიგაზი / سلامة حجازي (1852 - 1917) - ცნობილი ეგვიპტელი დრამატურგი და მსახიობი.

[54] AMAR Foundation, *Munīra al-Mahdiyya (Zakiyya Ḥusayn Manṣūr) (1884-1965).* https://www.amar-foundation.org/munira-al-mahdiyya/

[55] هشام، ميّ، "منيرة المهدية.. مذكرات "سلطانة الطرب" من مقاومة الاحتلال إلى أم كلثوم"، *الشرق* 19أغسطس 2022.

[56] Ferguson, Donna, “The dancehall divas who set the pace in Egypt’s roaring 20s”, *the Guardian*, 2 May 2021. https://www.theguardian.com/lifeandstyle/2021/may/02/the-dancehall-divas-who-set-the-pace-in-egypts-roaring-20s

(مصر الجديدة)[57] და ა.შ. ის ნაციონალური მოძრაობის დიდი მხარდამჭერი იყო და ამას დიდად აფასებდნენ საად ზაღლული და ჰუსაინ რუშდი ფაშა, რომლებიც მისი დიდი თაყვანისმცემლები იყვნენ[58]. ამ დამოუკიდებელმა ქალმა 1926 წელს საჯარო სამსახურის სამინისტროს ჯილდოც კი მიიღო არაბული სიმღერის აღორძინებისთვის[59].

პროფესორი ფრედრიკ ლეგრანი მუნირა ალ-მაჰდიას მხატვრულ მოგზაურობაში ორი ოქროს ხანას გამოყოფს: მის პირველ შეხვედრას თეატრთან და ბაიდაფონთან თანამშრომლობის ეპოქას, როდესაც ის ლევანტში ხანგრძლივი ტურნეს შემდეგ დაბრუნდა კაიროში. 1925 წლის აპრილში მან შეასრულა დავუდ ჰოსნის ოპერეტა „ალ-ღანდურა“ (الغندورة), მან ასევე ითამაშა ამ სახელწოდების ფილმში. ფილმის პრემიერა 1935 წელს შედგა აზბაქიას ბაღის კინოთეატრში. სამწუხაროდ ამ ფილმის ჩანაწერი აღარ არსებობს. 1927 წლის იანვარში მუნირას პოპულარობამ პიკს მიაღწია კლეოპატრას როლის შესრულებით სპექტაკლში „კლეოპატრა და მარკუს ანტონიუსი“ (كليوباترا ومارك انطونيو), რომელშიც ასევე მთავარ როლს ასრულებდა მუჰამად აბდ ალ-ვაჰაბი[60] (محمد عبد الوهاب)[61]. მუნირა სპექტაკლებს მხოლოდ ეგვიპტურ სცენაზე არ თამაშობდა, ის ხშირად მოგზაურობდა ჩრდილოეთ აფრიკის და აზიის სხვა ქვეყნებში, ხშირად მღეროდა მაროკოსა და ერაყში. მუნირა ალ-მაჰდია ბევრ სიმღერას თავადაც წერდა.

მუნირა ალ-მაჰდიას წარმატება რამდენიმე ფაქტორს ეფუძნებოდა. ის პირველი ეგვიპტელი მომღერალი იყო, რომელიც ე.წ. „მსუბუქ“ მუსიკას უწევდა რეკლამას, ტრადიციულ, კლასიკურ კომპოზიციებთან ერთად. ის იყო პირველი ეგვიპტელი ქალი, რომლის სიმღერებიც ფირფიტებზე ჩაიწერა. მუნირა აქტიურად ეხმარებოდა მუსიკოს და არტისტ ქალებს გართობის ინდუსტრიაში წარმატების მიღწევაში, რომელშიც იმ დროისთვის ძირითადად კაცები დომინირებდნენ[62]. დინა ეზატი თავის სტატიაში „Egypt's 1919 Revolution: Women's power, then and now“ საუბრობს მუნირას როლზე. მას მოიხსენიებს, როგორც თავისი დროის „დივას“, რომელიც 1919 წელის რევოლუციას უჭერდა მხარს და ნაციონალისტურ იდეებს აჟღერებს არა მარტო თავისი სიმღერებით, არამედ აქტივიზმითაც. ის ცდილობდა თავისუფლებისთვის მებრძოლებს დახმარებოდა, ასევე მასპინძლობდა პოლიტიკურ შეხვედრებს[63]. მუნირა მღეროდა მეფეებისა და ლიდერებისთვის, მღეროდა ბევრ ოფიციალურ დღესასწაულსა და მიღებაზე, მაგალითად, თურქეთის ეროვნული დღის ზეიმზე ქემალ ათათურქის წინაშეც იმღერა[64].

ალ-მაჰდიას უყვარდა საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნა. ცნობილი იყო, რომ მისი წვეულებები პოლიტიკურ და კულტურულ ელიტას იზიდავდა. მას ჰქონდა ე.წ. „ავამა“ (عوامة) ანუ ერთგვარი მოტივტივე სახლი ნილოსზე, რომელიც ცნობილი ადგილი იყო ეგვიპტური ელიტისთვის. ის ყოველთვის ცდილობდა არატრადიციული და ექსტრავაგანტური ყოფილიყო. თავის ძვირადღირებულ ნავ-სახლში სხვადასხვა გარეული ცხოველიც ჰყავდა, ჰყავდა გველებიც[65]. მოგვიანებით თავისი ვილა გაყიდა და რაღაც პერიოდით საცხოვრებლად ნილოსის სახლში გადავიდა. ჭორები ვრცელდებოდა იმის შესახებ, რომ ერთხელ პარლამენტმა სხდომა მის

---

[57] "ذكرى ميلاد: منيرة المهدية. لحظة استثنائية في المسرح الغنائي"، *العربي الجديد*.

[58] Zuhur, Sherifa, *Popular Dance and Music in Modern Egypt,* p. 36.

[59] AMAR Foundation, *Munīra al-Mahdiyya.*

[60] მუჰამად აბდ ალ-ვაჰაბი / محمد عبد الوهاب - (1898 - 1991) - ეგვიპტელი მომღერალი, არაბული მუსიკის ერთ-ერთი დიდი ვარსკვლავი.

[61] Sharjah Art Foundation (SAF) and The Arab Music Archiving and Research Foundation (AMAR), "Munīra al-Mahdiyya", *Min al-Tārīkh*, Episode 126, interview with Prof. Frédéric Lagrange. https://www.sharjahart.org/sharjah-art-foundation/web-radio/rawdat-al-bababel/muniira-al-mahdiyya-3

[62] "Remembering Mounira Al-Mahdia: Egyptian diva and revolutionary voice", *Ahram Online*, 16 May 2020. https://english.ahram.org.eg/News/369447.aspx

[63] ندى، وجيه، " منيره المهديه كليوباترا المسرح"، *دنيا الوطن*، 18-09-2016،

[64] Ezzat, Dina, *Egypt's 1919 Revolution: Women's power, then and now,* Ahram Online, 9 Mar 2019. https://english.ahram.org.eg/News/327836.aspx

[65] Ferguson, "The dancehall divas who set the pace in Egypt's roaring 20s".

სახლში გამართა[66]. თუმცა, თავად მუნირა ალ-მაჰდიაც იხსენებდა თავის მოგონებებში, რომ მაშინდელი პრემიერ მინისტრი ჰუსაინ რუშდი ფაშა თავის მინისტრებს მუნირას ნილოსის სახლში ხვდებოდა და ქვეყნის საქმეებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს იღებდა. ის ეხუმრებოდა კიდეც მომღერალს, რომ მას შეეძლო ეგვიპტის დამოუკიდებლობის მოპოვება, რადგანაც მინისტრები და სხვა მოღვაწეები ქვეყნის მდგომარეობაზე მისი ერთ-ერთი სიმრერის „يا حبيبي تعالى بالعجل“ („საყვარელო, მოდი სწრაფად“) ფონზე მსჯელობდნენ[67].

მუნირა წვეულებებისა და კაიროს ბობოქარი ღამის ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე დიდ სახელად და ვარსკვლავად რჩებოდა 1920-იან და 1930-იან წლებში. თუმცა, მისი დიდება მოგვიანებით ახალი ვარსკვლავების, მაგალითად, უმ ქულსუმის (أم كلثوم) გამოჩენასთან ერთან შესუსტდა. ასაკის მატებისა და გამუდმებული მოწევის გამო ხმაც შეეცვალა და მისი სახელი თანდათან ჩრდილში მოექცა[68]. მუნირა ალ-მაჰდია 1965 წლის 12 მარტს, 80 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მისი გარდაცვალებიდან ცამეტი წლის შემდეგ ჰასან ალ-იმამმა[69] (حسن الإمام) გადაიღო ფილმი „სულტანათ ალ-ტარაბ“ ანუ „ტარაბის დედოფალი“ (سلطنة الطرب) (1978), რომელიც აღწერს ალ-მაჰდიას ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ფილმის პროდიუსერი შერიფა ფადელი[70] (شريفة فاضل) იყო, რომელიც ასევე მთავარ როლს ასრულებდა[71]. ამ ფილმში კარგად ჩანს, როგორი იყო მაშინდელი კაიროს თეატრებისა თუ კაფეების და მათში დასაქმებული ქალების ცხოვრება, როგორი იყო ეგვიპტური მუსიკის ოქროს დღეები.

კაიროს კაფეები და სალონები ქვეყნის ერთგვარი კულტურული სცენის როლს ასრულებდა ყოველთვის. ეს იყო მომღერლების, მუსიკოსების, კომპოზიტორების, მსახიობებისა და მოაზროვნეების შეკრების ადგილი ყავის არომატის, ჩაის ჭიქებისა და მომხიბლავი მელოდიების ფონზე. სამწუხაროდ, კაიროს მე-20 საუკუნის დასაწყისის ღამის ცხოვრებასთან დაკავშირებული შენობების და ადგილების უმეტესი ნაწილი დღეს აღარ არსებობს. 1952 წლის კაიროს ხანძარმა ბევრი ადგილი გაანადგურა; ზოგი თეატრი და კაბარე კინოთეატრებად იქცა, რომლებიც ახლა, ძირითადად, მიტოვებულია. 1971 წელს დაიწვა 1869 წელს აშენებული ოპერის ცნობილი თეატრი, სადაც ვერდის „აიდას“ პრემიერა გაიმართა. აზბაქიაში სეირნობისას ვეღარ იპოვით იმ ძველი სამყაროს ნაშთებს. პრინტანიას თეატრის შენობა, სადაც მუნირა ალ-მაჰდიას სამსახიობო დებიუტი შედგა 1915 წელს, ჯერ კიდევ დგას ალ-ალფის ქუჩაზე, სადაც რესტორანი „Alfi Bey“ და კინოთეატრია განთავსებული. ბაბ ალ-ბაჰრის ქუჩაზე ჯერ კიდევ არის შემორჩენილი კაზინო ალ-ჰამბრას ნაწილი, სადაც მომღერალი ნაიმა ალ-მასრია (نعيمة المصرية) მღეროდა 1920-იან წლების განმავლობაში და სადაც მან საფრანგეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ჟორჟ კლემანსო ისე მოხიბლა, რომ მან შამპანურის ბოთლი გაუგზავნა მომღერალს[72]. ამრიგად, 1920-30-იანი წლების კაიროს მჩქეფარე ღამის ცხოვრებიდან მხოლოდ მოგონებები, ჩანაწერები და რამდენიმე სევდიანი შენობა დარჩა.

---

[66] Dabbagh, Selma, “Midnight in Cairo: The Divas of Egypt’s Roaring 20s”, The Markaz Review, 16 May, 2021. https://themarkaz.org/midnight-in-cairo-divas-of-the-roaring-20s/

[67] فتحي، مصطفى ، "العوامات .. تاريخ مصر على ضفاف النيل.. مصير كارثي لعوامات الفنانين.. وهذا ما حدث في عوامة الجاسوسة حكمت فهمي"، كايرو ربيس، 18يونيو، 2022.

[68] Zuhur, Sherifa, *Popular Dance and Music in Modern Egypt,* p. 36.

[69] ჰასან ალ-იმამი / حسن الإمام (1919 - 1988) - გამოჩენილი ეგვიპტელი კინორეჟისორი, რომელსაც მეტსახელად სალაროების მეფე შეარქვეს.

[70] შერიფა ფადელი / شريفة فاضل (1938-) - ცნობილი ეგვიპტელი მსახიობი და მომღერალი ქალი.

[71] “Remembering Mounira Al-Mahdia: Egyptian diva and revolutionary voice”.

[72] Cormack, Raphael, “Life was a cabaret – the Roaring Twenties in Cairo”

ბიბლიოგრაფია - Bibliography:

1. Ahram Online, "Remembering Mounira Al-Mahdia: Egyptian diva and revolutionary voice", Ahram Online, 16 May 2020. https://english.ahram.org.eg/News/369447.aspx Accessed: November 4, 2022.
2. AMAR Foundation, Munīra al-Mahdiyya (Zakiyya Ḥusayn Manṣūr) (1884-1965). https://www.amar-foundation.org/munira-al-mahdiyya/ Accessed: November 1, 2022
3. Cormack, Raphael, "Life was a cabaret – the Roaring Twenties in Cairo", Apollo Magazine, 6 January 2020. https://www.apollo-magazine.com/roaring-twenties-cairo/ Accessed: November 5, 2022.
4. Cormack, Raphael, "How Cairo Became a Cosmopolitan Destination in the 1920s: Raphael Cormack on Egypt's Interwar Nightlife Boom". Literary Hub, March 18, 2021. https://lithub.com/how-cairo-became-a-cosmopolitan-destination-in-the-1920s/ Accessed: November 1, 2022.
5. Dabbagh, Selma, "Midnight in Cairo: The Divas of Egypt's Roaring 20s", The Markaz Review, 16 May, 2021. https://themarkaz.org/midnight-in-cairo-divas-of-the-roaring-20s/ Accessed: October 30, 2022.
6. "A look back at Egypt's roaring '20s", Enterprise, 1 July 2022. https://enterprise.press/archive-wealth/look-back-egypts-roaring-20s/ Accessed: November 2, 2022.
7. Ezzat, Dina, „Egypt's 1919 Revolution: Women's power, then and now", Ahram Online, 9 Mar 2019. https://english.ahram.org.eg/News/327836.aspx Accessed: November 2, 2022. *A version of this article appears in print in the 7 March 2019 edition of Al-Ahram Weekly under the headline: Women's power, then and now.
8. Ferguson, Donna, "The dancehall divas who set the pace in Egypt's roaring 20s", the Guardian, 2 May 2021. https://www.theguardian.com/lifeandstyle/2021/may/02/the-dancehall-divas-who-set-the-pace-in-egypts-roaring-20s Accessed: November 1, 2022.
9. Al-Hafni, R. Al-Sultana Munira al-Mahdiyya. Cairo: Dar al-Shoruq, 1968.
10. Haghani, Fakhri, "The "New Woman" of the Interwar Period: Performance, Identity, and Performative Act of Everyday Life in Egypt and Iran". Al-Raida, Issue 122-123, Summer/Fall 2008, pp.32-41.
11. Institut Du Monde Arabe , The pioneers and the roaring twenties in Cairo, https://www.imarabe.org/en/activities/museum-exhibitions/the-pioneers-and-the-roaring-twenties-in-cairo Accessed: October 29, 2022
12. Mitchell, A. Women of Egypt, 1924-1931: Pioneers of stardom and fame. London: British Library Sound Archive, 2006.
13. Noshokaty, Amira, "Cairo cafes: A century of music and coffee", Ahram Online, 29 May 2014. https://english.ahram.org.eg/News/102380.aspx Accessed: October 27, 2022
14. Sharjah Art Foundation (SAF) and The Arab Music Archiving and Research Foundation (AMAR), "Munīra al-Mahdiyya", Min al-Tārīkh, Episode 126, interview with Prof. Frédéric Lagrange. https://www.sharjahart.org/sharjah-art-foundation/web-radio/rawdat-al-bababel/muniira-al-mahdiyya-3 Accessed: October 27, 2022
15. Van Nieuwkerk, Karin, A Trade like Any Other: Female Singers and Dancers in Egypt. American University in Cairo Press, 1995.
16. Zuhur, Sherifa, Popular Dance and Music in Modern Egypt, McFarland: 2021.

17. برنامج "إني أعترف"، قصة حياة منيرة المهديةمن الموقع www.saveturath.com.
https://www.youtube.com/watch?v=6G2QS_W5A50 Accessed: October 27, 2022.
18. حياة منيرة المهدية تحيةً لها في الذكرى السادسة والخمسين لرحيلها، على قناة يوتيوب " Jihad baini Art"
https://www.youtube.com/watch?v=G6zrmOx4FbY&t=392s Accessed: October 27, 2022.
19. كريم، محمد، "منيرة المهدية: شال الحمام حط الحمام"، العربي الجديد، نجوم وفن، 13 مارس 2019
https://www.alaraby.co.uk/%D9%85%D9%86%D9%8A%D8%B1%D8%A9-%D8%A7%D9%84%D9%85%D9%87%D8%AF%D9%8A%D8%A9-%D8%B4%D8%A7%D9%84-%D8%A7%D9%84%D8%AD%D9%85%D8%A7%D9%85-%D8%AD%D8%B7-%D8%A7%D9%84%D8%AD%D9%85%D8%A7%D9%85?fbclid=IwAR3vnBAPUSB-00R-75A1X2_ljYNG2rsGnFbA6loxhmdCTJXqoxg8ad9dcPo Accessed: October 29, 2022.
20. ذكرى ميلاد: منيرة المهدية. لحظة استثنائية في المسرح الغنائي"، العربي الجديد، آداب وفنون، 16 مايو 2021، "
https://www.alaraby.co.uk/culture/%D8%B0%D9%83%D8%B1%D9%89-%D9%85%D9%8A%D9%84%D8%A7%D8%AF-%D9%85%D9%86%D9%8A%D8%B1%D8%A9-%D8%A7%D9%84%D9%85%D9%87%D8%AF%D9%8A%D8%A9-%D9%84%D8%AD%D8%B8%D8%A9-%D8%A7%D8%B3%D8%AA%D8%AB%D9%86%D8%A7%D8%A6%D9%8A%D8%A9-%D9%81%D9%8A-%D8%A7%D9%84%D9%85%D8%B3%D8%B1%D8%AD-%D8%A7%D9%84%D8%BA%D9%86%D8%A7%D8%A6%D9%8A?fbclid=IwAR0eJT9RqFtY0FWlp9AXmSjU9KxkvYwm7uMeYIFSLhOo_1HEDx9EZojnR0Y Accessed: October 29, 2022.
21. هشام، ميّ، "منيرة المهدية.. مذكرات "سلطانة الطرب" من مقاومة الاحتلال إلى أم كلثوم"، الشرق" 19 أغسطس 2022،
https://asharq.com/ar/1QuYo1pQtZ7NnEMEr5AX6G-%D9%85%D8%B0%D9%83%D8%B1%D8%A7%D8%AA-%D9%85%D9%86%D9%8A%D8%B1%D8%A9-%D8%A7%D9%84%D9%85%D9%87%D8%AF%D9%8A%D8%A9-%D9%85%D9%86-%D9%85%D9%82%D8%A7%D9%88%D9%85%D8%A9-%D8%A7%D9%84%D8%A7%D8%AD%D8%AA%D9%84%D8%A7%D9%84/ Accessed: October 20, 2022.
22. ندى، وجيه، " منيره المهديه كليوباترا المسرح"، دنيا الوطن، 18-09-2016،
https://pulpit.alwatanvoice.com/content/print/416402.html Accessed: October 27, 2022
23. فتحي، مصطفى ، "العوامات .. تاريخ مصر على ضفاف النيل.. مصير كارثي لعوامات الفنانين.. وهذا ما حدث في عوامة الجاسوسة حكمت فهمي"، كايرو ربيس، 18 يونيو، 2022، https://cairopresseg.com/?p=173853 Accessed: November 1, 2022.

მუნირა ალ-მაჰდია ჟურნალ *Al-Hessan*-ის გარეკანზე
Munira Al-Mahdiyya on the cover of the magazine *Al-Hessan*

ფოტო აბუშადის არქივიდან / Photo from the Abushady Archive

კადრები ფილმიდან „ალ-ღანდურა“ და განცხადება ფილმის პრემიერის შესახებ (1935 წ.)
footage from the movie “Al-Ghandura’ and the announcement about the premiere (1935)